დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი N1

ქ. დმანისი 2024 წლის 12 ნოემბერი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ შემადგენლობა განსაზღვრულია მუნიციპალიტატის მერის 2023 წლის 3 ნოემბრის N№108.1082330717 ბრძანებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ შემადგენლობა:

1. ჯუმბერ კოპალიანი
2. ალმაზ ალაზოვი
3. ზაურ გრიგალაშვილი
4. რამილ ასლანოვი
5. ინტიზამ ვეზიროვი
6. ლია კვიციანი
7. სენზორი ხორბალაძე
8. ლეილი შარიფოვი
9. სოფო დევნოზაშვილი
10. ეკა ოქრიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: სხდომის თავმჯდომარე კობა მურადაშვილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანოს „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები: **ჯუმბერ კოპალიანი,** ალმაზ ალაზოვი, ზაურ გრიგალაშვილი, ინტიზამ ვეზიროვი, ლია კვიციანი, ლეილი შარიფოვი, ეკა ოქრიაშვილი.

აესევე ესწრებოდნენ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, პირველადი სტრუქტურული ერთეული ხელმძღვანელები და მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული სათათბიროს წევრები.

მუნიციპალიტეტის მერმა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გააცნო საბჭოს შექმნის არსი და მნიშვნელობა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 86' - ე მუხლის შესაბამისად განსახილველად წარუდგინა დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და მომავალ წელს განსახორციელებელ ინფრასტრუქტურულ და სოციალურ პროექტებზე ესაუბრა.

აზრი გამოთქვეს: **ჯუმბერ კოპალიანმა,** ალმაზ ალაზოვმა, ზაურ გრიგალაშვილმა, ლია ლია კვიციანმა, ინტიზამ ვეზიროვმა, ლეილი შარიფოვმა და ეკა ოქრიაშვილმა. რომლებმაც განმარტეს, რომ გაცნობილნი არიან ბიუჯეტის ზოგად პრინციპებს.

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრების მიერ მოწონებული იქნა 2025 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების მიმართულებით 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა. ახალგაზრდული სათათბიროს

წევრების მიერ მოწონებული იქნა მუნიციპალიტეტის მიერ ახალგაზრდების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების დაფინანსებების ზრდა.

ეკა ოქრიაშვილმა აღნიშნა: მისასალმებელია შემდეგი ფაქტი, რომ დმანისი მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხანდაზმულთა ღირსეული დაბერებისა და შინ მოვლის პროექტის თანადაფინანსების პროგრამა.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დმანისი მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია უპატრონო ცხოველების (ძაღლი/კატა) მოვლითი ღონისძიებები.

ზაურ გრიგალაშვილი დაინტერესდა შიდა მუნიციპალურ გზებზე მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებით და აღნიშნა, რომ სამუშაოები მიმდინარეობს კარგი ტემპით და მისასალმებელია, რომ 2025 წლის ბიუჯეტში მნიშვნრლოვნადაა გაზრდილი მსგავსი ტიპის ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის გამოყოფილი თანხები.

დმანისი მუნიციპალიტეტის მრჩეველთა საბჭომ გადაწყვიტა:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 86' - ე მუხლის შესაბამისად მოწონებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროეტი და დასამტკიცებლად წარედგინოს დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

სხდომის თავმჯდომარე კობა მურადაშვილი